პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН КОМИТЕТА ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ ПРИ СОВЕТЕ МИНИСТРОВ ГССР И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

17 სექტემბერი, კვირა, 1989 წ.
№ 180 (10 099) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

იქმნება საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი (სეოკ-ი)

## საინიციატივო ჯგუფის მერვე სხდომა

**ამ სხდომაზე** მოისმინეს საორგანიზაციო კომიტეტის ანგარიში დამფუძნებელი კონფერენციის ჩატარების ორგანიზაციულ საკითხებთან დაკავშირებით. დაწვრილებითი განხილვისა და შენიშვნების გათვალისწინებით საინიციატივო ჯგუფმა დაამტკიცა საქართველოს ეოკ-ის დამფუძნებელი კონფერენციის დელეგატის ანკეტა და რეკომენდაციები, რომლებიც უკვე დაეგზავნათ ადგილობრივი სპორტული ორგანიზაციებისა და სახალხო ფრონტის გამგეობათა ხელმძღვანელებს. სხდომაზე დაამტკიცეს უახლოესი პერიოდის ღონისძიებათა გეგმა.

საინიციატივო ჯგუფის ამ სხდომას ესწრებოდნენ საქართველოს ოლიმპიური ჩემპიონები. შემდეგ ეოკ-ის საორგანიზაციო კომიტეტმა და საქართველოს ოლიმპიურ ჩემპიონთა კლუბის შექმნის საინიციატივო ჯგუფმა ჩაატარეს ერთობლივი სხდომა, რომელზედაც ოფიციალურად შეიქმნა საქართველოს ოლიმპიურ ჩემპიონთა კლუბი (ამის შესახებ „ლელოს“ გუშინდელ ნომერში ჩვენ უკვე ვიუწყებოდით).

**საქართველოს ეოკ-ის შექმნის საინიციატივო ჯგუფის მორიგი სხდომა ოთხშაბათს, 20 სექტემბერს 16 საათზე ჩატარდება თბილისის ჭადრაკის სასახლეში.**

### შეკითხვები „ლელოს“

ძვირფასო რედაქცია, ვარ სპორტული სუვენირების კოლექციონერი. ძალიან გული დამწყდება, რომ ჩემს კოლექციაში არ მოხვდეს საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ემბლემა, დამფუძნებელი კონფერენციისთვის დამზადებული სამკერდე ნიშანი, ვიმპელი და სხვა სუვენირი. გთხოვთ დამეხმაროთ.

**ბია ზარიძე,**
თბილისი.

**სამწუხაროდ** ჩვენს მკითხველს და სპორტული სუვენირების კოლექციონერს ვერაფრით დავეხმარებით. საქმე იმაშია, რომ საქართველოს ეოკ-ის შექმნასთან დაკავშირებით არავითარი სუვენირი არ დამზადდება. მიზეზი მარტივია: ვიდრე ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი არ შეიქმნება, ჩვენ არა გვაქვს უფლება ოფიციალურად გამოვიყენოთ ოლიმპიური რგოლები, ურომლისოდ სპეციალური სუვენირების დამზადებას აზრი ეკარგება. ვერც ემბლემას, სამკერდე ნიშანს და ვიმპელს დავამზადებთ, ვიდრე ეოკ-ი არ შეიქმნება და შემდეგ იგი თავისი სტატუსის ფარგლებში დასამზადებლად არ მოიწონებს კონკურსის შედეგად შერჩეულ ამა თუ იმ ნიმუშს.

ბალტიისპირეთის რესპუბლიკებში საქმე სხვაგვარად იყო. იქ ეოკ-ი აღადგინეს და ამასთან აღადგინეს ადრინდელი ეროვნული სიმბოლიკებიც. ჩვენ ბალტიისპირელებისგან განსხვავებით სხვა ბევრ საკითხშიც საკუთარი გზით მივდივართ, ოღონდ, რაღა თქმა უნდა, მკაცრად ვიცავთ ოლიმპიური ქარტიის მოთხოვნებს.

**საქართველოს ეოკ-ის შექმნის საინიციატივო ჯგუფი.**



ადამიანები ბუნების შვილები ვართ და, იქნებ ამიტომაც, ისე არაფერი გვალაღებს და გვახალისებს, როგორც ბუნებასთან სიახლოვე, მასთან ურთიერთობა. საოცარია, მაგრამ, როცა ერთი ოჯახის წევრები გადიან ბუნების წიაღში, ერთმანეთისთვის ესოდენ ახლობელი ადამიანებიც კი თითქოს ხელახლა ეცნობიან ერთმანეთს, უკეთ იხედებიან ერთმანეთის სულში.

სულიერი სილაღე, მხნეობა, ფიზიკური აქტივობა — აი, რას აძლევს ადამიანებს ბუნების წიაღში თავისუფალ დროს გასეირნება. დღეს კვირაა, დასვენების დღე — საქართველოს ულამაზესი ბუნება უხმობს ოჯახებს.

## საქართველოს სპორტსახკომში

**გაიმართა** კოლეგიის გაფართოებული სხდომა, რომლის დღის წესრიგის მთავარი საკითხი იყო IV საკავშირო ახალგაზრდულ სპორტულ თამაშებში საქართველოს ნაკრები გუნდების მონაწილეობის შედეგების განხილვა-შეფასება, ამასთან იმსჯელეს ხალხთა X სპარტაკიადისათვის და მომავალი ოლიმპიური თამაშებისთვის მზადების ამოცანებზე.

თამაშებში საქართველოს წარგზავნილთა გამოსვლის შედეგებზე ბევრი ითქვა და დაიწერა. მოეწყო მონაწილეთა, მწვრთნელთა და სპორტის მუშაკთა შეხვედრა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანთან, შედეგები განიხილეს პარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს სხდომაზე. თითქოს ყველაფერი შეფასებული და გარკვეული იყო, და მაინც, კოლეგიაზე გამომსვლელთა სიტყვებში ერთთავად უკმარობის, დაუკმაყოფილებლობის, გამოუყენებელი შესაძლებლობებისა და თავჩენილი დარღვევების გამო გულისტკივილის სიტყვები გაისმოდა. თანაც კრიტიკა არ იყო ზოგადი და უმისამართო. ვინც ტრიბუნაზე გადიოდა უარყოფით ფაქტების შეფასებისას მიზეზებს ჯერ საკუთარ თავში, საკუთარ შეცდომებში ეძებდა, მერე კი სხვებს მიანიშნებდა ხარვეზებზე და ნაკლოვანებების დაძლევის გზებზე. ეს უკვე კადრების სიმწიფის დონის ამაღლების ნიშანია, რაც მხედველობიდან არ გამორჩენიათ კოლეგიის ამ სხდომაზე თავისუფალი დასწრებისთვის მოწვეულ მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა წარმომადგენლებს. „ლელო“ არ აპირებდა კიდევ ერთხელ ვრცლად მიბრუნებოდა თამაშების თემას. მაგრამ ახლა საჭიროდ მივიჩნიეთ მკითხველებს გავაცნოთ გამომსვლელთა თვითკრიტიკული და კრიტიკული განწყობა, პირადული თვალსაზრისი, პრობლემათა გადაჭრის მათეული გზა, რასაც დავბეჭდავთ კიდეც ახლო მომავალში.

განიხილეს აგრეთვე საკითხი, თუ როგორ სრულდება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1987 წლის 26 ნოემბრის №832 დადგენილება „1987-1990 წლებში რესპუბლიკაში ფიზიკური კულტურისა და სპორტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შემდგომი განმტკიცების ღონისძიებათა“ შესრულების შედეგების შესახებ. კოლეგიამ ამ მხრივ, ფიზკულტურულ-სპორტული ორგანიზაციების მიერ ადგილებზე გაწეული მუშაობა ჩათვალა არადამაკმაყოფილებლად. საკითხს კოლეგია კვლავ დაუბრუნდება 1991 წლის II კვარტალში. მიღებულ დადგენილებაში ნათქვამია, რომ რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს ეცნობება იმ ქალაქებისა და რაიონების შესახებ, სადაც ადგილობრივმა ხელისუფლებამ ჯეროვანი მუშაობა არ გასწია მთავრობის დადგენილების შესასრულებლად.

კოლეგიამ მოისმინა სპორტსახკომის თავმჯდომარის მოადგილის ვ. ლომაძის ინფორმაცია ქ. თბილისში სპორტულ ბაზებზე შექმნილი სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობის შესახებ (ვ. ლომაძის გამოსვლის შინაარსი დღეს ქვეყნდება ჩვენს გაზეთში).

სპორტსმენთა მატერიალური წახალისება დღეს უცხო არ არის. პერსპექტიულთათვის დაწესებულია სტიპენდიები, მაგრამ ამგვარ წახალისებას ყოველთვის პასუხისმგებლობით როდი ეკიდებიან და ზრუნვას ყოველთვის უკუგებით როდი უპასუხებენ ზოგიერთი მწვრთნელები და მათი შეგირდები. სპორტული შედეგების დაქვეითებასთან დაკავშირებით კოლეგიის გადაწყვეტილებით სტიპენდია მოეხსნათ მოცურავეებს ბახტაძესა და ელიზბარაშვილს. კოლეგიამ დაადგინა: „1989 წლის 1 სექტემბრიდან სტიპენდია დაენიშნოს 12 წლის ასაკამდე გოგოებს შორის ჭადრაკში მსოფლიო ჩემპიონს დიანა დარჩიას“.

კოლეგიის ამ სხდომაზე სპორტკომიტეტის თავმჯდომარეებად დაამტკიცეს: ვლადიმერ კანკავა — თბილისში და გიორგი პაპიტაშვილი — გორში.

## პროფკავშირთა გუნდის უპირატესობით

**ქალთა** მრავალდღიანი საკავშირო ველორბოლის მეხუთე ეტაპი (ზაჰესი — რუსთავი — ზაჰესი) ჩებოქსარელმა ნ. პაშკოვამ მოიგო, მეექვსე ეტაპზე კი (სამი წრე თბილისის ზღვის გარშემო) უძლიერესი უკრაინის გუნდის წევრი ი. იუგანიუკი იყო.

ექვსი ეტაპის ჯამში რბოლას ლიდერობს პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების ნაკრების წევრი სვეტლანა მინტიანსკაია (სხვათა შორის, ამ გუნდში გამოდის ქობულეთელი სტელა პრიახინაც, რომელიც ველორბოლის ერთ-ერთ ყველაზე აქტიურ მონაწილედ ითვლება) — 11:56.53. გუნდურ ჩათვლაში დაწინაურებულია პროფკავშირთა საზოგადოების ნაკრები — 35:53.33.

გუშინ გაიმართა რბოლის ბოლო, მეშვიდე ეტაპი: თბილისი — წყნეთი (18 კმ), რომელმაც გამოავლინა საბჭოთა კავშირის წლევანდელი ჩემპიონი ქალთა მრავალდღიან ველორბოლაში.

### წოდების მინიჭება

**საბჭოთა** კავშირის ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტმა სპორტის ოსტატის წოდება მიანიჭა:

**ძიუდოში** — ვაჟა ფურცელაძეს (ქუთაისი, „დინამო“), ვაჟა არუთინოვს (თელავი, პროფკავშირები), თამაზ მუთოშვილს (თბილისი, შეიარაღებული ძალები), ჯონდო დაბრუნდაშვილს, თეიმურაზ ტაბატაძეს (ორივე — თბილისი, „შრომითი რეზერვები“)

**ტყვიის სროლაში** — არჩილ მეგრელიშვილს (თბილისი, „დინამო“).

სპორტულ ბაზებზე — სანიტარული წესრიგი!

# სისუფთავისთვის ყველა პასუხს ვაგებთ

**როგორც** უკვე ვიუწყებოდით, გუშინწინ საქართველოს სპორტსახკომის კოლეგიის გაფართოებულ სხდომაზე ერთ-ერთ საკითხად განიხილეს რესპუბლიკაში და კერძოდ, თბილისის სპორტულ ბაზებზე შექმნილი სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობა. ინფორმაციით გამოვიდა სპორტსახკომის თავმჯდომარის მოადგილე ვ. ლომაძე. შემოკლებით გთავაზობთ ამ გამოსვლის ტექსტს.

**ამ დღეებში** საქართველოს მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმის სხდომაზე, როცა რესპუბლიკაში და დედაქალაქში სანიტარული მდგომარეობის საკითხს განიხილავდნენ, საქართველოს სპორტსახკომის მისამართით სამართლიანი კრიტიკა გამოითქვა.

რა დასკვნები უნდა გამოვიტანოთ პრეზიდიუმის სხდომაზე გამართული მსჯელობიდან?

**პირველი** — კრიტიკა სწორია, ამასთან რესპუბლიკის სპორტულ ბაზებზე ორგანიზაციებში და ობიექტებზე შექმნილი სანიტარულ-ეკოლოგიური მდგომარეობიდან გამომდინარე გაცილებით მეტ საყვედურს ვიმსახურებდით.

**მეორე** — დღეს, როცა გარემოს გაჭუჭყიანების წინააღმდეგ ბრძოლაში საქართველოს მთელი საზოგადოებრიობაა ჩაბმული, რესპუბლიკასა და კერძოდ თბილისის მრავალ სპორტულ ორგანიზაციებში სანიტარულ-ჰიგიენური საკითხები, მიუხედავად მათი უაღრესად დაბალი დონისა, კვლავ უყურადღებოდ რჩება.

**მესამე** — ამ საკითხის შესწავლამ ჩვენ კიდევ ერთხელ დაგვანახა ზოგიერთი სპორტული ბაზების ხელმძღვანელების, პასუხისმგებელი მუშაკების დაბალი საშემსრულებლო დისციპლინა, ზოგ შემთხვევაში სრული უპასუხისმგებლობა და საქმისადმი ძველებური, სტერეოტიპური მიდგომა. სხვა დასკვნებს ვერ გააკეთებ. პირდაპირ ვთქვათ, ნუთუ უმაღლესი ინსტანციის საგანგებო დადგენილება გვჭირდება იმისთვის, რომ ჩვენს სამუშაო ობიექტზე შესაბამისი სანიტარული წესრიგი დავამყაროთ. ნუთუ აუცილებლად ზემოდანაა საჭირო მითითება, რომ ის ნაგავი მოიშორო, რომელიც ყოველდღიურად ფეხებში გედება? სპორტული ორგანიზაციის ხელმძღვანელს, თუ სპორტული ნაგებობის დირექტორს, არ უნდა ჰირდებოდეს იმის შეხსენება, რომ ნაგებობის ტერიტორიას, მისადგომებს, საშხაპე-გასახდელებს თუ სათავსოებს მოწესრიგება, და-

იხ. მე-2 გვ.





ეს ფოტო (მარცხნივ) გუშინ გადავიღეთ დილმის მასივში, მალაზია „წითელქუდას“ გვერდით მდებარე სპორტული მოედნის შესასვლელთან. მეორე სურათზე აღბეჭდილია ფალავანთა კლუბის ფასადის მხრიდან მარჯვენა კუთხეში შეგროვილი ნაგავი. ასე იყო ერთი კვირის წინათ, გუშინ სადამოს კი, როცა გადავამოწმეთ, ნაგავი კვლავ ხელუხლები დაგვხვდა.

ჩამი ფიქრისა, ჩამი ბანსჯისა

# დღეს მადლობა, ხვალინდელზეც ვიფიქროთ...

ჯერ კიდევ შარშან სინქრონული ცურვის სპეციალისტები იმდენად იყვნენ დარწმუნებული მოსკოველთა სიძლიერეში, რომ ამბობდნენ, ამ ქალაქმა საკავშირო პირველობაზე ორი და სამი გუნდიც რომ გამოიყვანოს, საპრიზო ადგილებს მათ ვერავინ შეეცილებაო. სპეციალისტები, რა თქმა უნდა, ასეთ მოსაზრებას ანალიზის გარეშე არ გამოთქვამდნენ. სპორტის ამ სახეობაში ჰეგემონია, დიდიდან ჩვენს ქვეყანაში სინქრონული ცურვის დაბადებისა, მოსკოველთა ხელთ იყო. პირველნი, ვინც საკავშირო სარბიელზე მოსკოველთა დაუმარცხებლობაში დაგვაეჭვა, საქართველოს წარმომადგენლები იყვნენ, არადა, ჩვენი რესპუბლიკის სინქრონული ცურვის ოსტატებს, გუნდურ პირველობაში, მოსკოველები ჯერ არ დაუმარცხებიათ. აი, პირად პირველობებში კი სურათი მკვეთრად იცვლება. ეს დაადასტურა IV საკავშირო ახალგაზრდულმა სპორტულმა თამაშებმა, რომელშიც, ერთადერთი გამონაკლისის გარდა (მოსკოველი მარია ჩერნიაევა), ჩვენი ქვეყნის ყველა უძლიერესი სპორტსმენი მონაწილეობდა. ერთი კვირის შემდეგ ეს დაადასტურა კიევში გამართულმა საკავშირო ჩემპიონატმაც, სადაც იგივე შემადგენლობამ მოიყარა თავი, როგორც თამაშებში. ერთგანაც და მეორეგანაც საქართველოს წარმომადგენლებმა იდენტური წარმატებები მოიპოვეს — პროგრამის სამი სახეობიდან ორი პირველი და ერთი მესამე ადგილი დაიკავეს.

საქართველოს სინქრონული ცურვის ოსტატებმა გაიმარჯვეს ერთეულთა (ხრისტინა ფალასინიდი) და წყვილთა ასპარეზობაში (ფალასინიდი, ნინო მაისურაძე), ხოლო ჯგუფურ შეჯიბრებაში ბრინჯაოს მედლები ხვდათ (ფალასინიდი, მაისურაძე, ეკატერინე ასათიანი, ტატიანა გუტიაკულოვა, ნინო ლომოური, მაია მელაძე, ირინა ტარუაშვილი, ელისო მარგველაშვილი, მანანა ჩაქსელიანი).

მართალია, „სკოლაში“ მედლები არ ნაწილდება, მაგრამ სასიამოვნოა, რომ აქაც პირველ ადგილზე ფალასინიდის გვარს ვხვდებით.

შეეძლოთ თუ არა ჩვენს სპორტსმენებს, პირად პირველობაში, უკეთესი შედეგები ეჩვენებინათ? ამ კითხვით მივმართეთ ჩვენ გუნდის ერთ-ერთ მწვრთნელს სვეტლანა სიდოროვას.

— მიღწეულით, ბუნებრივია, კმაყოფილნი ვართ, — ამბობს სიდოროვა.— ახალგაზრდულ თამაშებზეც და ჩემპიონატშიც ჯგუფურ შეჯიბრებაში ჩვენ ვერცხლის მედლების მოპოვება შეგვეძლო, მაგრამ... ეტყობა, იფიქრეს, ჩვენთვის ორი პირველი ადგილი საკმარისზე მეტი იქნებოდა და, როგორც იტყვიან, „ჩაგვჭრეს“. ორივე ასპარეზობაზე სავალდებულო პროგრამის შედეგებით ჯგუფურ ასპარეზობაში მეორე ადგილზე ვიყავით. „სკოლის“ შემდეგ სტატუსკვო, ჩვეულებრივ, არ ირღვევა. და მაინც, დაირღვა. ჩემპიონატში ჩვენი „შევიწროება“ ისე აშკარა იყო, რომ წინასწარი ასპარეზობის შემდეგ ერთ-ერთი არბიტრი პროტესტის ნიშნად წამოხტა და გავარდა, მე ასეთ სიტუაციაში მუშაობა არ შემიძლიაო. მისმა პროტესტმა ვერ გვიშველა და ჩვენ მესამე ადგილზე აღმოვჩნდით. მიუხედავად ამისა, საქართველოს ნაკრებმა ახალგაზრდულ სპორტულ თამაშებზეც და საკავშირო ჩემპიონატშიც არნახულ წარმატებას მიაღწია.

როგორც ხედავთ, საქართველოს წარმომადგენლებმა მოსკოველთა ჰეგემონია, პირად პირველობაში, შეარყიეს, თანაც გაცილებით პრესტიჟულ სახეობაში — ერთეულთა ასპარეზობაში და წყვილთა შეჯიბრებაში.

ახლა გადავხედოთ გუნდურ პაექრობასაც, სადაც, დამსახურებისამებრ, მოსკოველებს სამი, რსფსრ-ს და საქართველოს ორ-ორი ნაკრების გამოყვანის ნებართვა მისცეს.

მოსკოველები ორი გუნდით გამოსვლას დისჯერდნენ, რსფსრ-ის წარმომადგენლები ერთნახევარი ნაკრებით გამოვიდნენ, ხოლო საქართველოს მეორე გუნდში ორად ორი სპორტსმენი ჰყავდა.

მოსკოვის პირველმა ნაკრებმა I ადგილი დაიკავა. II იყო საქართველოს, ხოლო III უკრაინის გუნდი. ასე რომ, მითი იმის შესახებ, თითქოს მოსკოველთა მეორე გუნდიც საპრიზო ადგილზე გავიდოდა, გაიფანტა.

მეორე გუნდების ჩათვლაში შესაძლებელი იყო შესულიყო პირველი ნაკრების წევრთა შორის უძლიერესთა მაჩვენებლებიც, რომლებიც ერთეულთა და წყვილთა თანრიგში იქნებოდა ნაჩვენები.



როგორც აღვნიშნეთ, საქართველოს მეორე გუნდში სულ ორი სპორტსმენი გამოდიოდა. ისინი თექვსმეტ უძლიერესს შორის ვერ მოხვდნენ და ჩათვლა ვერ მიიღეს, მაგრამ მეორე ნაკრებს ფალასინიდიმ და მაისურაძემ, დებულების მიხედვით, როგორც იტყვიან, ხელი შეაშველეს, პარალელური ჩათვლა მისცეს და გუნდი VII ადგილზე გაიყვანეს.

ერთი სიტყვით, საქართველოს სინქრონული ცურვის ოსტატებმა გაგვახარეს. მერე მათმა ლიდერმა ფალასინიდიმ ერთეულთა ასპარეზობაში ევროპის ჩემპიონის ოქროს მედალიც მოიპოვა. საკავშირო ნაკრების ხელმძღვანელთა მიკერძოება რომ არა, ევროპის ჩემპიონატზე უნდა გამოსულიყო მაისურაძეც, რომელიც, ჩვენი მწვრთნელების აზრით, ფალასინიდისთან ერთად წყვილთა ასპარეზობაში გამარჯვების ერთ-ერთი ფავორიტი იქნებოდა.

ვფიქრობთ, უახლოეს წლებში საქართველოს ნაკრების წევრები პოზიციებს არ დათმობენ და მეტ წარმატებებს მოიპოვებენ, მაგრამ ეს დამშვიდების საბაბს არამც და არამც არ გვაძლევს. ახლავე უნდა ვიფიქროთ იმაზე, თუ როგორი პერსპექტივები ექნებათ ჩვენს სინქრონული ცურვის ოსტატებს, როცა მათი ლიდერები, ადრე თუ გვიან, სარბიელს მიატოვებენ.

ახალგაზრდულ სპორტულ თამაშებს ამ კითხვაზეც უნდა გაეცა პასუხი და გასცა კიდეც. სამწუხაროდ, პასუხი დამაიმედებელი არ აღმოჩნდა. საქართველოს ნაკრებმა მეორე გუნდი ვერ დააკომპლექტა. მასში, როგორც ვნახეთ, ორი ისეთი სპორტსმენი შეიყვანეს, რომლებმაც გუნდს ვერაფერი არგეს.

იმისთვის, რომ ნათლად დავინახოთ ვინ როგორ ზრუნავს სინქრონული ცურვის განვითარებისთვის, გადავხედოთ ჩვენი ნაკრების წევრებს, მათ ვინაობას. ისინი ყველანი პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების წარმომადგენლები არიან.

ჩვენს პირველ ნაკრებში მხოლოდ თბილისელი და ქუთაისელი სპორტსმენები იყვნენ. სხვაგან სპორტის ეს სახეობა დანერგილი არცაა, უფრო სწორედ, სოხუმშიც არსებობს სექცია, მაგრამ ამ ქალაქში სინქრონულ ცურვაში ვარჯიში შეუძლებელია. ამიტომ იქაურები დროდადრო ეშერაში ახერხებენ ჩასვლას. წყალში ასეთი ეპიზოდური ვარჯიშით, ბუნებრივია, არაფერი გამოვა. მარტო დარბაზში მეცადინეობითაც, რაღა თქმა უნდა, ფონს ვერ გავლენ.

სინქრონული ცურვის განვითარებისთვის შესაფერისი პირობები არც სხვა ქალაქებშია.

მალე რუსთავში მწყობრში ჩადგება ახალი აუზი, რომელშიც სინქრონული ცურვის განვითარებისთვის კარგი პირობები იქნება, მაგრამ აქ მთელი სიგრძე-სიგანით დგება მეორე პრობლემა — კადრების პრობლემა. მაღალკვალიფიციური კადრები თბილისშიც არ გვყოფნის და ვინცა გვყავს, იმათაც რუსთავში სამუშაოდ წასვლა არ უნდათ.

და ბოლოს, იმათ შესახებ, ვინც საქართველოს ნაკრებს საკავშირო ახალგაზრდულ სპორტულ თამაშებზე, და არა მხოლოდ აქ, დიდი წარმატებები მოუპოვა. ესენი არიან: გუნდის უფროსი მწვრთნელი ნატალია მაშუკი, სვეტლანა სიდოროვა, აზა ჯაფაროვა, ტატიანა კოსტირევა, მზია იაგორაშვილი, ლელა მამიაური; ნაკრების ექიმი, საკავშირო კატეგორიის მსაჯი იანა კაპცოვა და გუნდის უფროსი ჯულიეტა კარაპეტიანი. მომეცადინეებს დიდად უწყობს ხელს თბილისის ლენინური კომკავშირის სახელობის საწყლოსნო კომპლექსის დირექცია, მწვრთნელებიც ენთუზიაზმით მუშაობენ. მაგრამ ენთუზიაზმი და მონდომება საკმარისი აღარ იქნება, აქედანვე თუ არ ვიზრუნეთ კადრებზე, თუ სინქრონული ცურვის სექციები თბილისის გარდა სხვა აუზებშიც არ ჩამოყალიბდება.

ავთანდილ გურასაშვილი.

# სისუფთავისთვის ყველა პასუხს ვაგებთ

(დასასრული)

სუფთავება და მოვლა-პატრონობა უნდა.

რატომ ხდება ყოველივე ეს? რატომ გამოვიყურებით ასე ცუდად?

პირველ რიგში, ყველა ის შენიშვნა, რომელიც გამოითქვა საქართველოს მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმის სხდომაზე, სპორტსახკომის სპორტნაგებობათა სამმართველოს ხელმძღვანელებმა, ამ სამმართველოს ყველა მუშაკმა და პირადად მეც, როგორც კურატორმა, უნდა მივიღოთ. უდავოა, მეტი პრინციპულობა და ყურადღება რომ გამოგვეჩინა, მეტი კონტროლი რომ გაგვეწია დისციპლინისა და სისუფთავის უზრუნველყოფისათვის, ასეთ შედეგამდე არ მივიდოდით. პირველ რიგში სწორედ ჩვენ, ხელმძღვანელებმა უნდა გარდავქმნათ ჩვენი საქმიანობა, უნდა ავცდეთ ინერციას, ახლებურად, თანამედროვე დონეზე გავზარდოთ მომთხოვნელობა და ობიექტურად შევაფასოთ ვითარება.

საქართველოს სპორტსახკომმა 30 აგვისტოს გამოსცა საგანგებო ბრძანება: „რესპუბლიკაში სპორტულ ბაზებზე სანიტარული მდგომარეობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“, რომლის შინაარსი გაზეთმა „ლელომ“ 7 სექტემბერს გამოაქვეყნა. სამწუხაროდ, როგორც ირკვევა, ბრძანებას ზოგიერთმა წაუყრუა. მართალია, მთელ რიგ სპორტულ ბაზებზე გამოცოცხლება შესამჩნევია, გაზიდულია ნაგავი, მოწესრიგებულია მოედნები, დარბაზები, საცურაო აუზები, საშხაპეები, გასახდელები და სხვ. მაგრამ ბევრგან მდგომარეობა საგანგაშოა. ზოგან სარემონტო სამუშაოები მიმდინარეობს. ეს კარგია, მაგრამ ცუდია, რომ სამშენებლო ნარჩენების გატანაზე არ ზრუნავენ, ერთმანეთს შესცქერიან მშენებლები და სპორტულ ნაგებობათა ხელმძღვანელები. ასეთთა რიცხვს მიეკუთვნება სპორტსახკომის ფარიკაობის დარბაზის მიმდებარე ტერიტორია (დირექტორი დ. ბერძენიშვილი), „დინამოს“ ფეხბურთის სკოლის ტერიტორია (ო. უშვერიძე), ცენტრალურ ველოდრომის და „ბურევესტნიკის“ სპორტულ კომპლექსს შორის მდებარე ტერიტორია (დ. ფოფხაძე), სპორტსახკომის სამდარბაზიანი მშენებარე კომპლექსის მიმდებარე ტერიტორია (მშენებლობის სამინისტროს მე-13 ტრესტი, მე-7 სამმართველო), „დინამოს“ ჩოგბურთის კორტები (გ. ჩახუნაშვილი), თბილისის სპორტკომიტეტის ტანვარჯიშის კომპლექსის მიმდებარე ტერიტორია (გ. კაჭარავა), ფიზკულტურის ტექნიკუმის ეზო და სხვა ობიექტები.

სპორტული ნაგებობის ხელმძღვანელები ნაგვის გაუტანლობას ახლანდელ ბენზინის კრიზისს აბრალებენ, ავიწყდებათ, რომ ნაგავი თვეებით და წლებითაა დაგროვილი და ტერიტორიის გაწმენდაზე ადრე არ უზრუნიათ.

არასახარბიელო სურათია კამოს ქუჩაზე მდებარე ველოდრომზე (გ. ცქიტიშვილი), იქ რეკონსტრუქცია მიმდინარეობს, სამშენებლო და საყოფაცხოვრებო ნაგავი კი ყველაზე თვალსაჩინო ადგილზეა გამოტანილი.

ლენინის სახელობის სტადიონზე პირდაპირ ნაგვის გორებია. ბრალი ამაში სპორტსახკომის სამშენებლო ტრესტის № 1 სამმართველოსთან ერთად მიუძღვის სპორტულ ნაგებობათა ხელმძღვანელებს.

ლენინის სახელობის სპორტულ დარბაზში მიმოფანტულია ნაგავი, მოუწესრიგებელია ტუალეტები, სათავსოებში ვირთხები დანავარდობენ. ეს მაშინ, როცა ეს სპორტული ბაზა და თბილისის სპორტკომიტეტი ერთ შენობაში, ერთ ჭერქვეშ არიან.

მძიმე მდგომარეობაა იპოდრომის ტერიტორიაზე. საჯინიბოებს შორის თავმოყრილია ყოველგვარი ნაგავი. ნახერხი და ნაკელი ერთმანეთშია არეული, არის აუტანელი სუნი, ანტისანიტარია. უსუფთაობაა დახურულ მანეჟსაა და მიმდებარე ტერიტორიაზე. რომელ ეკოლოგიაზე, რომელ სანიტარულ-ჰიგიენურ მოთხოვნებზე შეიძლება ლაპარაკი ასეთ შემთხვევაში?

სპორტსახკომის ოლიმპიური რეზერვის სპეციალიზებული სპორტული სკოლა გლდანის რაიონშია. მისი ცენტრალური შესასვლელი და მისადგომები სანაგვედ არის გადაქცეული. ამ სკოლის ხელმძღვანელები (დირექტორი ლ. ბოლქვაძე) ამ რამდენიმე თვის წინათ მინისტრთა საბჭოს პასუხისმგებელმა მუშაკებმა საგანგებოდ გააფრთხილეს, მაგრამ...

სამწუხაროდ, კიდევ ბევრი მაგალითის მოტანა შეიძლებოდა, თუმცა მდგომარეობის საილუსტრაციოდ ალბათ ესეც კმარა. სპორტულ ნაგებობათა ხელმძღვანელებს ყველაზე უკეთ უნდა ესმოდეთ, რომ ფიზიკური კულტურისა და სპორტის პროპაგანდა მხოლოდ თვალსაჩინო ადგილზე მაღალფარდოვანი ლოზუნგების გამოკვრა არაა. იგი ღონისძიებების კომპლექსს მოიცავს და ამ კომპლექსში სპორტბაზის გარეგანი სახე, სანიტარულ-ჰიგიენური პირობები, კულტურულ-ესთეტიკური დონე და მომსახურების კულტურაც იგულისხმება. ერთი სიტყვით, პრობლემები ბევრი გვაქვს და მათი მოწესრიგება პირადი პასუხისმგებლობის ამაღლებით უნდა დავიწყოთ. გადავწყვიტეთ სპორტსახკომის კოლეგიის ყოველ სხდომაზე ვიმსჯელოთ ამ საკითხებზე. ვიმეორებ, კოლეგიის ყოველ სხდომაზე! თითოეულ სხდომაზე განვიხილავთ ორს ან რამოდენიმე ორგანიზაციაში არსებულ მდგომარეობას, შედეგებს კი ხელმძღვანელების პირადი პასუხისმგებლობის გათვალისწინებით შევაფასებთ.

ქართული პრესა წერდა...

# კავკასიური და კლასიკური ჭიდაობა

**1910 წელს** თბილისში საინტერესო შეხვედრები ჩატარებულა კავკასიურ (ქართულ) და ფრანგულ ჭიდაობაში. შეჯიბრება, რომელიც ქართულ საზაფხულო თეატრში ჩატარდა, ივლის-აგვისტოს თვეებში გამართულა. ვაქვეყნებთ ამ ინფორმაციებს:

**10 აგვისტო, №78.**

„განცხადება. 15 აგვისტოს, დიდუბეში გაიმართება 5 საინტერესო კავკასიური ჭიდაობა მამადავითის ეკლესიის სკოლის სასარგებლოდ. 1. კულა გლდანელი კავკასიის პირველი გამოჩენილი ფალავანი და სილვესტრ პეტერსონი ევროპის გამოჩენილი მოჭიდავე. სილვესტრ პეტერსონი, რომელმაც ეჭიდავა 1 ივლისს კულა გლდანელს და წააქცია გლდანელმა, კვირას, 15 აგვისტოს ეჭიდავება მეორედ, სილვესტრ პეტერსონის გამოთხოვნით და 100 მანეთის სანაძლეოთი: 2. გიორგი დოთიაშვილი (გორელი) და ლადო მირაძე; 3. მიხაკა ქურხული და სიკო ხითარიძე; 4. შაშუა ვერელი და ვასო ცალქალამანიძე; 5. ამირან ლეკიშვილი და ნიკა გარეჯელი.“

**15 აგვისტო, №83.**

„სპორტი. ქართული ჭიდაობა. კვირას, 15 აგვისტოს დიდუბეში გაიმართა ქართული ჭიდაობა. იჭიდავეს კულა გლდანელმა და ევროპელმა მოჭიდავემ სილვესტრ პეტერსონმა. კულა გლდანელმა მოარცხუნა სარმით ორ წუთში დასცა პეტერსონი, რომელმაც 100 მ. სანაძლეო მოიგო. საგარეჯოელმა მიხაკო ქურხულმა წააქცია სიკო ხითარიძე; ვასო ცალქალამანიძემ და შაშუა ვერელმა დიდხანს იჭიდავეს. როგორც ეტყობოდა უფრო ცალქალამანიძე სძლევდა, მაგრამ მაინც ვერცერთმა ვერ გალახა და გაუშვლეს; საგარეჯოელმა ნიკამ წააქცია ამირანა ლეკიშვილი, გორელმა გიორგი დოთიაშვილმა წააქცია ლადო მირაძე. სხვა მოჭიდავეებმიც ბევრმა კარგად იჭიდავეს“.

**17 აგვისტო, №84**

„სპორტი. 16 აგვისტოს ქართულ საზაფხულო თეატრში გაიმართა ფრანგულ-კავკასიური ჭიდაობა... ხალხი მოუთმენლად ელოდა კულა გლდანელისა და მიხეილ მაიერის ჭიდაობას. გაისმა ზურნის ხმა, მოხდენილად გამოვიდა გლდანელი. ნახევარ წუთს შეებნენ მოპირდაპირენი. გლდანელმა შუა სარმა გამოსდო და თევზივით გააკრა იატაკს. ხალხმა დიდი აღტაცებით რამდენიმეჯერ გამოიწვია კავკასიის ფალავანი კულა გლდანელი და დამარცხებული მიხეილ მაიერი“.

**18 აგვისტო, № 85.**

„სახალხო გაზეთი“ იტყობინებოდა, რომ ქართულ საზაფხულო თეატრში, ჩემპიონატის ბოლო დღეებში, კულა გლდანელი შეხვდებოდა იანოშ ნაჯის (17 აგვისტოს) და ყოფილ წითელ ნიღაბს (18 აგვისტოს).

ვიცით, რომ 17 აგვისტოს, როგორც მოსალოდნელი იყო, კულა გლდანელს წააუქცევია იანოშ ნაჯი, ხოლო 18 აგვისტოს შესახებ არაფერი ჩანს“.

პუბლიკაცია მოამზადა
ხულიკო ნოღაიძემ.

## UEFA ევროპის საკლუბო ტურნირები

**გთავაზობთ** ევროპის საფეხბურთო საკლუბო ტურნირების 1989-90 წლების გათამაშებათა პირველი ტურის შედეგებს.

**ჩემპიონთა თასი**

**მეთექვსმეტედფინალები**

„ლინფილდი" (ჩრ. ირლანდია) — „დნეპრი" (დნეპროპეტროვსკი, სსრკ) 1:2
„სლიმა" (მალტა) — „17 ნენტორი" (ალბანეთი) 1:0
„სპარტა" (ჩეხოსლოვაკია) — „ფენერბახჩე" (თურქეთი) 3:1
„სტიაუა" (რუმინეთი) — „ფრამი" (ისლანდია) 4:0
„დერი სიტი" (ირლანდია) — „ბენფიკა" (პორტუგალია) 1:2
„რუხი" (პოლონეთი) — „სრედეცი" (ბულგარეთი) 1:1
„ჰონვედი" (უნგრეთი) — „ვოივოდინა" (იუგოსლავია) 1:0
„რუსენბორგი" (ნორვეგია) — „მეჰელენი" (ბელგია) 0:0
„ეინდჰოვენი" (ჰოლანდია) — „ლიუცერნი" (შვეიცარია) 3:0
„გლაზგო რეინჯერსი" (შოტლანდია) — „ბაიერნი" (გფრ) 1:3
„ტიროლი" (ავსტრია) — „ომონია" (კიპროსი) 6:0
„დინამო" (დრეზდენი, გდრ) — აეკ (საბერძნეთი) 1:0
„მალმიო" (შვეცია) — „ინტერი" (იტალია) 1:0
„მილანი" (იტალია) — „ჰიკ" (ფინეთი) 4:0
„მარსელი" (საფრანგეთი) — „ბრონდბიუ" (დანია) 3:0
„სპორა" (ლუქსემბურგი) — „რეალი" (მადრიდი, ესპანეთი) 0:3

**თასების მფლობელთა თასი**

**წინასწარი წრე**

„ჩერნომორეცი" (ბულგარეთი) — „დინამო" (ალბანეთი) 3:1, 0:4

**მეთექვსმეტედფინალები**

„ტორპედო" (მოსკოვი, სსრკ) — „კორკ სიტი" (ირლანდია) 5:0
„სლოვანი" (ჩეხოსლოვაკია) — „გრასჰოპერსი" (შვეიცარია) 3:0
„პარტიზანი" (იუგოსლავია) — „სელტიკი" (შოტლანდია) 2:1
„იუნიონი" (ლუქსემბურგი) — „დიორგარდენი" (შვეცია) 0:0
„ფერენცვაროში" (უნგრეთი) — „ჰაკა" (ფინეთი) 5:1
„ვალიადოლიდი" (ესპანეთი) — „ჰამრუნ სპარტანსი" (მალტა) 5:0
„ბელენენსეში" (პორტუგალია) — „მონაკო" (საფრანგეთი) 1:1
„ბეშიქთაში" (თურქეთი) — „ბორუსია" (დორტმუნდი, გფრ) 0:1
„დინამო" (ალბანეთი) — „დინამო" (რუმინეთი) 1:0
„ვალიური" (ისლანდია) — „დინამო" (ბერლინი, გდრ) 1:2
„ადმირა-ვაკერი" (ავსტრია) — „აელ" (კიპროსი) 3:0
„ბრანი" (ნორვეგია) — „სამპდორია" (იტალია) 0:2
„ანდერლეხტი" (ბელგია) — „ბალიმენა" (ჩრ. ირლანდია) 6:0
„გრონინგენი" (ჰოლანდია) — „იკასტი" (დანია) 1:0
„პანათინაიკოსი" (საბერძნეთი) — „სუონსი" (უელსი) 3:2
„ბარსელონა" (ესპანეთი) — „ლეგია" (პოლონეთი) 1:1.

**უეფა-ს თასი**

**წინასწარი წრე**

„ოსერი" (საფრანგეთი) — „დინამო" (ზაგრები, იუგოსლავია) 0:1, 3:1

**თერთმეტმეტედფინალები**

„ზენიტი" (ლენინგრადი, სსრკ) — „ნესტვედი" (დანია) 3:1
„ჟალგირისი" (ვილნიუსი, სსრკ) — „გოთებორგი" (შვეცია) 2:0
„ატალანტა" (იტალია) — „სპარტაკი" (მოსკოვი, სსრკ) 0:0
„დინამო" (კიევი, სსრკ) — მტკ-ვმ (უნგრეთი) 4:0
„ლა ვალეტა" (მალტა) — „ვიენა" (ავსტრია) 1:4
„აკრანესი" (ისლანდია) — „ლიეჟი" (ბელგია) 0:2
„ვიტოშა" (ბულგარეთი) — „ანტვერპენი" (ბელგია) 0:0
„ჰიბერნიანი" (შოტლანდია) — „ვიდეოტონი" (უნგრეთი) 1:0
„გურნიკი" (პოლონეთი) — „იუვენტუსი" (იტალია) 0:1
„სოშო" (საფრანგეთი) — „ჟიონესი" (ლუქსემბურგი) 7:0
„რად" (იუგოსლავია) — „ოლიმპიაკოსი" (საბერძნეთი) 2:1
„კარლ-მარქს-შტადტი" (გდრ) — „ბოავიშტა" (პორტუგალია) 1:0
„როვანიემი" (ფინეთი) — „გკს" (პოლონეთი) 1:1
„კუუსიუსი" (ფინეთი) — „პარი სენ-ჟერმენი" (საფრანგეთი) 0:0
„ჰანზა" (გდრ) — „ბანიკი" (ჩეხოსლოვაკია) 2:3
„ლილესტრიომი" (ნორვეგია) — „ვერდერი" (გფრ) 1:3
„ერგრიტე" (შვეცია) — „ჰამბურგი" (გფრ) 1:2
„ირაკლისი" (საბერძნეთი) — „სიონი" (შვეიცარია) 1:0
„აბერდინი" (შოტლანდია) — „რაპიდი" (ავსტრია) 2:2
„კიოლნი" (გფრ) — „პლასტიკა" (ჩეხოსლოვაკია) 4:1
„შტუტგარტი" (გფრ) — „ფეიენოორდი" (ჰოლანდია) 2:0
„ტვენტე" (ჰოლანდია) — „ბრიუგე" (ბელგია) 0:0
„ვეტინგენი" (შვეიცარია) — „დანდალკი" (ირლანდია) 3:0
„ოსერი" (საფრანგეთი) — „აპოლონია" (ალბანეთი) 5:0
„ვალენსია" (ესპანეთი) — „ვიქტორია" (რუმინეთი) 3:1
„პორტო" (პორტუგალია) — „ფლეკარა" (რუმინეთი) 2:0
„ატლეტიკო" (მადრიდი, ესპანეთი) — „ფიორენტინა" (იტალია) 1:0
„გლენტორანი" (ჩრ. ირლანდია) — „დანდი იუნაიტედი" (შოტლანდია) 1:3

მოგვიანებით შედგა შემდეგი შეხვედრები:

„გალათასარაი" (თურქეთი) — „ცრვენა ზვეზდა" (იუგოსლავია) 1:1
„აუსტრია" (ავსტრია) — „აიაქსი" (ჰოლანდია) 1:0
„აპოლონი" (კიპროსი) — „სარაგოსა" (ესპანეთი) 0:3
„სპორტინგი" (პორტუგალია) — „ნაპოლი" (იტალია) 0:0.

## ევროპა — სამხრეთ ამერიკა

**იაპონიის** დედაქალაქში გაიმართა ვეტერან ფეხბურთელთა მეტად საინტერესო საერთაშორისო შეხვედრა ევროპისა და სამხრეთ ამერიკის გუნდებს შორის. ანგარიშით 3:1 გაიმარჯვეს სამხრეთ ამერიკელებმა, რომლებმაც ეფექტურად, სწრაფად და ოსტატურად ითამაშეს.

მეტოქეები ასეთი შემადგენლობებით გამოვიდნენ მინდორზე: **ევროპა** — მეკარე პფაფი (ბელგია), მცველები — ჯენტილე (იტალია), ბოსი (საფრანგეთი), ბერგრენი (დანია), ბრაიტნერი (გფრ). შუა ხაზის მოთამაშეები — ბონეკი (პოლონეთი), ანტონიონი (იტალია), ბლოხინი (სსრ კავშირი), თავდამსხმელები — როშტო (საფრანგეთი), როსი (იტალია), რუმენიგე (გფრ); **სამხრეთ ამერიკა** — მეკარე პერესი, მცველები — ლეანარო, ედინიო (ბრაზილია), ტარანტინი, პასარელა (არგენტინა), შუა ხაზის მოთამაშეები — ჟუნიორი, ფალკაო, ზიკო (ბრაზილია), თავდამსხმელები — ედერი (ბრაზილია), კემპესი, ვალდანო (არგენტინა).

როგორც ხედავთ, სამხრეთ ამერიკა უმაღლესი კლასის გამოჩენილი ფეხბურთელებით იყო დაკომპლექტებული, მას გამარჯვების მეტი შანსი ჰქონდა და გამოცდილმა ოსტატებმაც არ გააწბილეს მოლოდინი. უკვე მე-7 წუთზე ვალდანომ ზიკოს ზუსტი გადაცემით გახსნა ანგარიში, 23-ე წუთზე კი ზიკომ თვით აიძულა ევროპელთა მეკარე პფაფი ბადიდან გამოეტანა მეორე ბურთი. შესვენების შემდეგ მარიო კემპესმა ანგარიში 3:0-მდე აიყვანა.

ევროპელებმა მხოლოდ ამის შემდეგ გამოიღეს ხელი, სამხრეთამერიკელთა კარი შეუნელებელი იერიშების ობიექტად იქცა, ევროპელთა ერთ-ერთი შეტევისას მეტოქის ნახევარზე აღმოჩნდა მეკარე პფაფიც და მხოლოდ მატჩის ბოლო წუთზე მოჰყვა მთელ ამ საიერიშო ოპერაციებს ერთადერთი საპრესტიჟო გოლი, რომელიც კარლ ჰაინც რუმენიგემ გაიტანა პაოლო როსის გადაცემის შემდეგ.

საინტერესო მატჩს ტოკიოს სტადიონზე 42 ათასამდე მაყურებელი დაესწრო. საუკეთესო მოთამაშედ დაასახელეს 36 წლის ბრაზილიელი ფეხბურთელი ზიკო. თავისი ხანგრძლივი საფეხბურთო კარიერის მანძილზე იგი სამჯერ იყო აღიარებული სამხრეთ ამერიკის საუკეთესო ფეხბურთელად.

# კეთილი საქმისათვის ყველამ უნდა მოვიცადოთ...

**კარიერადამთავრებულ** ცნობილ სპორტსმენებს პირველ ხანებში უმეტესად უჭირთ ახალ ცხოვრებასთან „შეგუება". აქ, ამ ახალ სარბიელზე, გულშემატკივართა გუშინდელ კერპს ძველი დიდება დიდ სამსახურს ვერ გაუწევს, თუ სხვა, ცხოვრებისეული თვისებებითაც არ მოხიბლა გვერდში მყოფნი. ეს იოლი საქმე არ არის, რადგან მანამდე მისი ცხოვრება სულ სხვა კალაპოტით მიედინებოდა და რაც ადრე ეპატიებოდა, ახლა იმგვარ დათმობაზე აღარავინ წავა. ამიტომაც მისი საქმიანობა უნაკლო უნდა იყოს, განთქმულ სპორტსმენს ახალ ასპარეზზე არანაკლები ძალისხმევა მართებს, რათა მის სახელს კვლავინდებურად კრძალვითა და რიგით მოიხსენიებდნენ.

მაგრამ, როცა საქმე გაქვს ახალგაზრდობასთან, ნორჩ თაობასთან, რომელსაც მხოლოდ უფროსების საუბარში თუ მოუკრავთ ყური შენი გარდასული დღეების ამბებისათვის? აი, აქ კი მეტი უნდა მოსთხოვო საკუთარ თავს, რომ თავიდან დაიმსახურო პატივისცემა და სიყვარული...

დიახ, ვინც ახლა თბილისის კიკვიძის სახელობის პარკში გახსნილ ომარ ეგაძის კლუბში ჭიდაობის ანბანს ეუფლება, მან ცოტა რამ თუ იცის „მასპინძლის" დაძაბული ორთაბრძოლების, მისი საინტერესო და ზოგჯერ დრამატული წარსულის შესახებ. ამ მხრივ სპორტსმენს კარგ სამსახურს გაუწევდა ფოტოალბომები, რომლებიც მის პირად არქივში ინახება. ამ ალბომებში ასახულია მთელი მისი სპორტული კარიერა სათანადო განმარტებებით, თავმოყრილია საკავშირო თუ რესპუბლიკური და ადგილობრივი გაზეთების მასალები. მოდით, გადავშალოთ ალბომის პირველი გვერდები მაინც. 1956 წლის გაზეთ „მოლოდიოჟ გრუზიიდან" ამოჭრილ ფოტოზე აღბეჭდილია თბილისის მე-13 საშუალო სკოლის მეათეკლასელთა მეცადინეობა ფიზიკის ლაბორატორიაში, სადაც თანაკლასელებთან ერთად ცდას ატარებს ომარ ეგაძე. იქვე არის ინფორმაცია გაზეთიდან ლენინგრადელ და ქართველ კლასიკური სტილის მოჭიდავეთა ასპარეზობის შესახებ, რომელიც ასე იწყება: „შეჯიბრებას ტონი მისცა 18 წლის ო. ეგაძემ. ტანმორჩილი, ძარღვიანი, კუნთმაგარი თბილისელი ქორივით დასტრიალებდა ა. ანდრეევს ორი წუთის განმავლობაში. მესამე წუთზე მაყურებელთა ტაშის გრიალში ეგაძემ „ჩატეხა" ლენინგრადელის ხიდი და გამარჯვების პირველი ქულა მოუტანა თავის გუნდს. ეს გახლდათ ო. ეგაძის სავიზიტო ბარათი. იგი მტკიცედ დამკვიდრდა საქართველოს ჭაბუკთა ნაკრებში, რომელსაც სულ მალე საკავშირო პირველობაში რესპუბლიკის ღირსება უნდა დაეცვა. გუნდმა ეს ასპარეზობა ნამდვილი ტრიუმფით განვლო, უკან ჩამოიტოვა რსფსრ-ის, მოსკოვისა და სხვა უძლიერესი კოლექტივები და გამარჯვება დაისაკუთრა. პირად პირველობაში კი ჩემპიონები გახდნენ მჩატე წონის მოჭიდავე ო. ეგაძე, ქვესაშუალო წონის გ. მინასიანი და მძიმეწონოსანი გ. ჭითავა. ამ წარმატებით ომარ ეგაძემ, ჯერ კიდევ ჭაბუკმა, გზა გაიკაფა დიდ სპორტში და ლენინგრადის საკავშირო პირველობაზე უფროსთა შორის საქართველოს ნაკრების ღირსების დაცვის უფლებაც მოიპოვა. ეს უფლება მას მთელი 13 წლის მანძილზე არ დაუთმია და არაერთი ბრწყინვალე გამარჯვებითაც ისახელა თავი საკავშირო თუ მსოფლიო სარბიელზე.



ომარ ეგაძე

საკავშირო ხალიჩაზე პირველი დიდი წარმატება 1962 წელს მოიპოვა. ეს იყო ტალინში, სადაც მჩატე წონის ახალგაზრდა პრეტენდენტმა საპატიო კვარცხლბეკის უმაღლესი საფეხურისაკენ მიმავალი გზიდან ზედიზედ ჩამოიცილა უძლიერესი კონკურენტები, მათ შორის თვით ჰელსინკის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი, მოსკოველი ბ. გურევიჩი, ოლიმპიადის პრიზიორი, კიეველი ვ. ტროსტიანსკი, ევროპის ჩემპიონი, ბაქოელი ს. აგამოვი და ოლიმპიური ჩემპიონი, ლენინგრადელი ნ. სოლოვიოვი. აი, ასეთ უძლიერეს მეტოქეებთან ჰქონდა საქმე მაშინაც, როცა ეს მოჭიდავეები ამერიკის ქალაქ ტოლიდოში, მსოფლიო პირველობაზე გასამგზავრებლად ემზადებოდნენ. ნაკრების ხელმძღვანელობამ არჩევანი ო. ეგაძეზე შეაჩერა და მან დიდი წვლილი შეიტანა საბჭოთა გუნდის წარმატებაში, რომელმაც პირველობა არავის დაუთმო. თავად ეგაძემ ვერცხლის მედალი დაიმსახურა, რისთვისაც სპორტის დამსახურებული ოსტატის საპატიო წოდება მიენიჭა. ამას მოჰყვა გამარჯვება სსრ კავშირის ხალხთა III სპარტაკიადაზე, სადაც იმავე შემადგენლობამ მოიყარა თავი 57 კგ წონით კატეგორიაში. ამის შემდეგ ტოკიოს ოლიმპიურ თამაშებში ეგაძის მონაწილეობა თითქოს აღარავის აეჭვებდა. მას საბჭოთა დელეგაციის ფორმაც კი ჩააცვეს, რომლითაც ჩვენი გუნდი ტრადიციულად თამაშების გახსნის აღლუმზე გამოდის, მაგრამ... ბოლო მომენტში ოლიმპიურ გუნდში ეგაძის ნაცვლად ჩარიცხეს ვ. ტროსტიანსკი, რომელმაც ვერცხლის მედალი დაიმსახურა.

ასეთი უიღბლობის გამო ო. ეგაძე გამოემშვიდობა ხალიჩას და მთელი ყურადღება სწავლაზე გადაიტანა — დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ქიმიის ფაკულტეტი კვების მრეწველობის ინჟინერ-ტექნოლოგის სპეციალობით, მერე კი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვაჭრობის ეკონომიკის ფაკულტეტზე ჩაირიცხა. ამასობაში მოახლოვდა 1967 წელი, სსრ კავშირის ხალხთა IV, საიუბილეო სპარტაკიადა.

საქართველოს კლასიკური სტილით მოჭიდავეთა ნაკრებს მჩატე წონაში ღირსეული ფალავანი არ ჰყავდა და ომარ ეგაძეს სთხოვეს დაბრუნებულიყო სარბიელზე. მან უყოყმანოდ მიიღო ეს წინადადება და მონდომებით შეუდგა მზადებას საპასუხისმგებლო შეჯიბრებისთვის. რკინისებურმა ნებისყოფამ და მინდობილი საქმისათვის თავდადებამ თავისი ქნა. დაბრუნებულმა მოჭიდავემ ტრიუმფით განვლო საპარტაკიადო ორთაბრძოლები, თუმცა მისი მეტოქეები იყვნენ საბჭოთა კავშირის ორგზის ჩემპიონი, ერევნელი გ. ზაქარიანი, მსოფლიო ჩემპიონები — ტაშკენტელი რ. კაზაკოვი, ბაქოელი ა. საიადოვი და სხვა უძლიერესი ათლეტები. იმავე წელს ივან პოდუბნის ტრადიციულ ტურნირზე, რომელშიც უძლიერესი „კლასიკოსები" მონაწილეობდნენ, ო. ეგაძემ კვლავ დაამტკიცა, რომ მას ბადალი არ ჰყავს თავის წონაში. მეხიკოს ოლიმპიურ თამაშებზე მისი გამგზავრებისთვის თითქოს არაფერს უნდა შეეშალა ხელი, მაგრამ სპორტსმენს კვლავ გაუცრუვდა იმედი, მის ნაცვლად არჩიეს დონის როსტოველი ი. კაჩერგინი, რომელმაც მხოლოდ ბრინჯაოს მედალი მიიღო... ამის შემდეგ ეგაძე მხოლოდ მცირე მასშტაბის შეჯიბრებებში იცავდა საქართველოსა და თავისი სპორტსაზოგადოების სახელს.

დღეს კი სახელგანთქმული სპორტსმენი, რომ იტყვიან, საშვილიშვილო საქმეს თავკაცობს, რომელიც დიდ სამსახურს გაუწევს ჩვენი მომავალი თაობის ჯანმრთელობას. თავის მშობლიურ უბანში ნაძალადევში მდებარე ვ. კიკვიძის სახელობის პარკში ომარ ეგაძემ ჩამოაყალიბა სპორტული კლუბი, რომელსაც მისი სახელი ეწოდა. სხვათა შორის, თბილისში ბევრი მსგავსი კლუბია, მაგრამ მათი უმრავლესობა მხოლოდ სახელს ატარებს დიდი სპორტსმენისას, რაც შეეხება თვით სპორტსმენებს, ისინი, ცოდვა გამხელილი ჯობს, თავიანთი კლუბების იშვიათი სტუმრები არიან. ომარ ეგაძე კლუბის ნამდვილი გულშემატკივარია. ვინ აღარ შეაწუხა, რათა კლუბისათვის საჭირო სამშენებლო მასალა თუ ტრენაჟორებისათვის დამატებითი მილები გამოეყო... რაც შეეხება საჭიდაო დარბაზს, იგი ყოფილი თავლაა, რომელიც ომარ ეგაძემ დარბაზად აქცია. აქ ახლა ფიზმომზადებას გადიან დამწყები ფალავნები, სულ მალე კი ექნებათ ლეიბი, „საჭიდაო" ფიტულები, ფინური საუნა და ა. შ. რაც შეეხება გეგმებს:

— კარგი იქნება, — თქვა ომარ ეგაძემ, — პარკის თერთმეტივე ჰექტარი ჯანმრთელობის კერად ვაქციოთ. აქ მარტო ჭიდაობა კი არა, სპორტის სხვა სახეობებიც უნდა დაინერგოს. მჯერა, ეს კარგ ნაყოფს გამოიღებს. ნაძალადევის მკვიდრთ თავიდანვე მოსდევთ სპორტის სიყვარული. ამაზე ნათლად მეტყველებს წარსულის შესანიშნავი ათლეტთა სახელები, რომელთა ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს.

კარგია, როცა ტრადიციის აღორძინებას ითავებს 50 წელს მიღწეული ვეტერანი, რომელსაც ბევრჯერ უსახელებია დიდ სარბიელზე თავისი ხალხი და ქვეყანა.

**უშანგ ჭიჭინაძე.**



### მარადონა დაბერდა?

ლისაბონის „სპორტინგისა" და იტალიის „ნაპოლის" უეფა-ს თასის შეხვედრის 70-ე წუთზე მინდორზე გამოვიდა „ნაპოლიში" მოთამაშე არგენტინელი ფეხბურთელი დიეგო მარადონა. პრესა აღნიშნავს, რომ მარადონა ვეტერან ფეხბურთელსა ჰგავდა, რომელსაც ჯერ კიდევ არ დავიწყნია ბურთის თამაში, იგი წონაში მომატებული იყო, სისწრაფე დაეკარგა და მინდორზე აუჩქარებლად დააბიჯებდა.

დ. მარადონამ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ ათიოდე დღის შემდეგ მთლიანად აღიდგენს სპორტულ ფორმას.

### განსაზღვრავს კომპიუტერი

ბრძოლა გფრ-ის საფეხბურთო ჩემპიონატში დიდი ხანი არაა რაც დაიწყო, მაგრამ კომპიუტერებმა უკვე საბოლოოდ გაანაწილეს ადგილები. მათი გამოთვლით, ჩემპიონის წოდებას 1989-90 წლების სეზონში მიუნხენის „ბაიერნი" მოიპოვებს, მისი მთავარი მეტოქე კი დორტმუნდის „ბორუსია" იქნება. მომდევნო ადგილებს დაიკავებენ „კიოლნი", „შტუტგარტი", „ვერდერი", ლევერკუზენის „ბაიერი", „ჰამბურგი".

კომპიუტერები „ამტკიცებენ", რომ ბუნდესლიგას დატოვებენ „ბოხუმი" და იფკ „ჰომბურგი".

### არგენტინელები ემზადებიან

არგენტინის ფეხბურთელებს მსოფლიო ჩემპიონატის დაწყებამდე განზრახული აქვთ რამდენიმე ამხანაგური მატჩი გამართონ. ისინი 21 დეკემბერს ქ. კალიარიში (სარდინია) შეხვდებიან მომავალი ჩემპიონატის მასპინძლებს იტალიელებს, გაისად 3 მაისს მსოფლიო ჩემპიონები ვენაში ითამაშებენ ავსტრიელებთან, 8 მაისს — შვეიცარიის ერთ-ერთ ქალაქში ამ ქვეყნის ნაკრებთან, ხოლო 23 მაისს — თელ-ავივში ისრაელის გუნდთან.

# ხუმუშქურელები — უცვლელი ჩემპიონები

**საინტერესოდ** ჩატარდა გალის რაიონის ხუმუშქურის ჩაის საბჭოთა მეურნეობის პირადი პირველობა ჭადრაკში. თუ რაოდენ პოპულარულია ამ მეურნეობაში სპორტის ეს სახეობა, ამაზე მიგვითითებს ის ფაქტიც, რომ უკვე რამოდენიმე წელია ხუმუშქურელი მოჭადრაკეები რაიონის უცვლელი ჩემპიონები არიან.

წლევანდელ შეჯიბრებაში მონაწილეობდა 12 მოჭადრაკე. პირველობა (9 ქულით) არავის დაუთმო №4 აგროგანყოფილების უფროსმა კუკური მოდებაძემ. II ადგილი 8,5 ქულით დაიკავა №1 აგროგანყოფილების უფროსმა გოგლიკ კვარაცხელიამ, ხოლო III ადგილი (8 ქულით) წილად ხვდა მეურნეობის მთავარ ეკონომისტს ჰამლეტ გოგიას.

მეურნეობის დირექციამ (დირექტორი ჯ. სოტკილავა) დააწესა პრიზები, რომლებითაც დაჯილდოვდნენ საპრიზო ადგილზე გასული მოჭადრაკეები.

**დავით შამუგია,**
**შეჯიბრების მსაჯი.**

# „მოსკოველი დათვების" დებიუტი

**დღეს,** 17 სექტემბერს დასავლეთ ბერლინში „მოსკოველი დათვები" პირველ საერთაშორისო შეხვედრას ჩაატარებენ ამერიკულ ფეხბურთში. მათი მეტოქე იქნება „დასავლეთ ბერლინის არწივები".

ამერიკული ფეხბურთის მოყვარულთა პირველი კლუბი საბჭოთა კავშირში ჩამოყალიბდა... მიმდინარე წლის 1 აგვისტოს. ეს საქმე ითავა გუნდის მწვრთნელმა, მოსკოვის „სპარტაკის" რაგბისტთა კლუბის წევრმა იგორ ტატურიანმა, რომელმაც რის ვაი-ვაგლახით იშოვნა თამაშის წესები, თარგმნა ინგლისურიდან და ქვეყნის 25 ქალაქში დაგზავნა. სულ მალე მოვიდა პასუხები ლენინგრადიდან, ხარკოვიდან, ჩელიაბინსკიდან, ტაშკენტიდან, ალმა-ათიდან, ადგილობრივმა სპორტსმენებმა, მეტწილად რაგბისტებმა, [illegible] მიიღეს [illegible] წინადადება და შექმნეს კლუბები.

„მოსკოველი დათვების" ძირითად ბაზას „სპარტაკის" რაგბისტები შეადგენენ. აქვე არიან ჩარიცხულნი ყოფილი მოჭიდავეები და ნიჩბოსნები. გუნდი დაკომპლექტებულია 18-35 წლის სპორტსმენებით.

## კალეიდოსკოპი

● **თანაგუნდელები** მას „არატიპიურ იტალიელს" ეძახიან. იმიტომ, რომ ცნობილი მოცურავე ჯორჯო ლამბერტი თავის ემოციებს მშვიდად გამოხატავს. მას შემდეგაც კი რაც ლამბერტიმ 200 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში მსოფლიო რეკორდი დაამყარა თავი მორცხვად ეჭირა. თანაგუნდელებს აინტერესებთ როდემდის იქნება ასეთი მორიდებული ლამბერტი და როდის მისცემს იგი გრძნობებს გასაქანს?

● **სულ მალე** მსოფლიო სპორტის ცისკაბადონზე ახალი ვარსკვლავი ამობრწყინდება. ეს იქნება ეთიოპიელი სტაიერი 19 წლის ადის აბებე. სპეციალისტებმა ნიჭიერ მძლეოსანს ყურადღება მიაქციეს შარშან იუნიორთა მსოფლიო ჩემპიონატზე, რომელიც კანადაში გაიმართა, დღეს კი მას უკვე უძლიერეს სტაიერთა შორის ასახელებენ. ადის აბებემ უნდა გააგრძელოს თავის წინამორბედთა მდიდარი ტრადიციები.

● **ერთხანს** ეჭვის ქვეშ იყო, ახლა კი ყველა დარწმუნებულია იმაში, რომ ჩინეთი აზიის თამაშებისათვის ყველა ობიექტის მშენებლობას დაამთავრებს. სხვათა შორის, ამავე აზრისაა აზიის ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი შეიხი ფახალ ალ-ახმად ალ-სავახი. როგორც ცნობილია, თამაშები ჩატარდება პეკინში 1990 წლის 22 სექტემბერ — 7 ოქტომბერს.

● **„სპრინტის მეფეს"** ამერიკელ კარლ ლუისს გადაწყვეტილი აქვს შეხვდეს სარბენ ბილიკზე ბენ ჯონსონს, როგორც კი დაუმთავრდება დისკვალიფიკაციის ვადა. ეს კი მოხდება გაისად გაზაფხულზე. ლუის-ჯონსონის დუელის ორგანიზაციაზე პრეტენზიას აცხადებს ტოკიო, აგრეთვე კანადის, ჰოლანდიისა და აშშ-ს რაამდენიმე ქალაქი.

● **ჩინეთი** დაეხმარება ეგვიპტეს სპორტის სასახლის აგებაში. შენობა, რომელიც 19 ათას მაყურებელს დაიტევს, განლაგდება 24 ათას კვადრატულ მეტრ ტერიტორიაზე. დოკუმენტს ამ მშენებლობის შესახებ ხელი მოაწერეს ჩინეთის ელჩმა ქაიროში ჩჟან შილიანმა და ეგვიპტის კოოპერაციის სახელმწიფო მინისტრმა მორის მაკრამ-ალახმა.

# პირველ ადგილზეა სტუმარი

**საინტერესო** და მრავალფეროვანია ლაგოდეხის ტურისტული ბაზის „კავკასიონის" ცხოვრება. აქ ყოველგვარი პირობებია შექმნილი დასვენების, გართობისა და ფიზიკური წრთობისათვის. მაგრამ სტუმართმოყვარე ლაგოდეხელი მასპინძლები მხოლოდ ამით როდი კმაყოფილდებიან. ტრადიციად იქცა სხვადასხვა რანგის რესპუბლიკური ღონისძიებების ჩატარება. ამის დასტურად თუნდაც გამოდგება ამასწინათ აქ გამართული პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს ქალთა ღია პირველობა 100-უჯრიან შაშში.

შეჯიბრებაში 16 მოშაშე მონაწილეობდა. მათ შორის იყვნენ საბჭოთა კავშირის ექს-ჩემპიონი, კიეველი საერთაშორისო ოსტატი ნინა იანკოვსკაია, საქართველოს ჩემპიონი, ოსტატობის კანდიდატი მადონა შალამბერიძე, ექს-ჩემპიონები, ოსტატობის კანდიდატები ლია ღირდალაძე და ლალი ჩომახიძე.

ტურნირის დაწყებიდანვე სწორედ ზემოთ აღნიშნული მოშაშეები დაწინაურდნენ და პირველობისთვის ბრძოლა ძირითადად მათ შორის წარიმართა.

საბოლოდ 15 შესაძლებლიდან 14,5 ქულით I ადგილი ნინა იანკოვსკაიამ დაიკავა. მას ნახევარი ქულით ჩამორჩა თბილისის 23-ე საშუალო სკოლის VIII კლასის მოსწავლე, 13 წლის მადონა შალამბერიძე (მწვრთნელი თენგიზ რეხვიაშვილი), რომელმაც საკავშირო პირველობის საგზური მოიპოვა. ამ შეჯიბრებას ოქტომბრის დასაწყისში ხარკოვი უმასპინძლებს.

13 ქულით III ადგილი წილად ავდა ლალი ჩომახიძეს. 12,5 ქულით IV ადგილზეა ლია ღირდალაძე.

**სერგო თომაშვილი,**
**შეჯიბრების მთავარი მსაჯი, თბილისის შაშის ფედერაციის თავმჯდომარე.**



იუმორი.

ჟურნალი „სტადიონი" (ჩეხოსლოვაკია)

# მრთი ნაბიჯი ჩემპიონობამდე

**„მონცას"** ტრასაზე (იტალია) გაიმართა „ფორმულა 1" კლასის ავტომობილებით რბოლაში მსოფლიო ჩემპიონატის მე-12 ეტაპი. გათამაშდა იტალიის „გრან პრი".

ტრასის სიგრძე 5,8 კილომეტრია, 51 წრე კი შეადგენს 295, 8 კილომეტრს. რეკორდი ეკუთვნოდა მიქელე ალბორეტოს (იტალია, „ლოლა-ლამბორგინი"). შარშან „ფერარის" ავტომობილით მან ერთი წრე გაიარა 1 წუთსა და 29,070 წამში, განავითარა 234, 422 კმ.სთ საშუალო სიჩქარე.

სპეციალისტები ყოველთვის მოუთმენლად ელიან იტალიის ეტაპს. მათი აზრით, ის, ვინც „მონცაზე" გაიმარჯვებს, მსოფლიო ჩემპიონიც ხდება. ყოველ შემხვევაში ასეა 1983 წლიდან. გამონაკლისი მხოლოდ 1986 და 1988 წლები იყო.

საკვალიფიკაციო რბოლების პირველ დღეს საუკეთესო დრო აჩვენა გერჰარდ ბერგერმა (ავსტრია, „ფერარი"), მაგრამ მეორე დღეს ყველა განაცვიფრა ბრაზილიელმა აირტონ სენამ. მისმა „მაკლარენმა" ფანტასტიკური სიჩქარე განავითარა და დაიბრუნა სტარტზე პირველი ადგილი. მეორე და მესამე პოზიცია ეკავათ ბერგერსა და მენსელს, მეოთხე — ალენ პროსტს.

სტარტიდანვე ლიდერობა ხელთ იგდო სენამ. მას კვალში ედგნენ ალენ პროსტი, გერჰარდ ბერგერი და ნაიჯელ მენსელი. მალე ბრაზილიელმა პილოტმა საგრძნობლად ჩამოიტოვა ისინი, მაგრამ, როცა რბოლის დამთავრებას 8 წრე აკლდა, მის „მაკლარენს" ცეცხლი გაუჩნდა და მსოფლიო ჩემპიონი იძულებული შეიქნა რბოლა მიეტოვებინა. ამით მან „ძვირფასი საჩუქარი" მიართვა თავის თანაგუნდელს. ალენ პროსტმა სიჩქარეს უმატა და საბოლოოდ, 51 წრე დაფარა 1 საათში, 19 წუთსა და 27,550 წამში. პროსტმა განავითარა 282,119 კმ სთ საშუალო სიჩქარე. ასეთი სისწრაფით ჯერ არავის უვლია „მონცას" ტრასაზე. ამ გამარჯვებით ალენ პროსტმა პრაქტიკულად გაინაღდა მსოფლიო ჩემპიონის ტიტული. ახლა მას 39 „გრან პრი" აქვს მოგებული. ფრანგმა პილოტმა ტრასის რეკორდიც დაამყარა და გააუმჯობესა მიქელე ალბორეტოს შარშანდელი შედეგი (1 წუთი და 28,107 წამი, საშუალო სიჩქარე — 236,985 კმ სთ). ეს პროსტისთვის წლევანდელ სეზონში მეოთხე „გრან პრია", ხოლო „მაკლარენისათვის" — 79-ე გამარჯვება.



ამრიგად, ეტაპის საბოლოო შედეგი ასეთია:

1. ალენ პროსტი (საფრანგეთი, „მაკლარენ-ჰონდა") — 9; 2. გერჰარდ ბერგერი (ავსტრია, „ფერარი") — 6; 3. ტიერი ბუტსანი (ბელგია) — 4; 4. რიკარდო პატრეზე (იტალია) — 3 (ორივე „უილიამს-რენო"); 5. ჟან ალესი (საფრანგეთი, „ტაირელ-ფორდი") — 2; 6. მარტინ ბრანდლი (ინგლისი, „ბრებემ-ჯადი") — 1.

პირადი ჩათვლა:

1. ალენ პროსტი — 71; 2. აირტონ სენა — 51; 3. ნაიჯელ მენსელი — 38; 4. რიკარდო პატრეზე — 28; 5. ტიერი ბუტსანი — 24; 6. ალესანდრო ნანინი — 14; 7. ნელსონ პიკე — 9; 8-11. მიქელე ალბორეტო, ედი ჩივერი, დერეკ უორვიკი, გერჰარდ ბერგერი — 6-6; 12-13. ჯონი ჰერბერტი, ჟან ალესი — 5-5; 14-17. მაურიციო გუჟელმინი, სტეფანო მოდენა, ანდრეა დე ჩეზარისი, ალექს კაფი — 4-4; 18. კრისტიან დანერი — 3; 19-22. რენე არნუ, სტეფან იოჰანსონი, პიერლუიჯი მარტინი, მარტინ ბრანდლი — 2-2; 23-26. ჯონათან პალმერი, გაბრიელე ტარკვინი, ოლივიე გრუიარი, ლუის პერეს-სალა — თითო ქულა.

კონსტრუქტორთა პირველობა:

1. „მაკლარენი" — 122; 2. „უილიამსი" — 52; 3. „ფერარი" — 44; 4. „ბენეტონი" — 19; 5-6. „ეროუზი", „ტაირელი" — 12-12; 7. „ლოტუსი" — 9; 8. „დალარა"-8; 9. „ბრებემი" — 6; 10. „ლეიტონ ჰაუსი" (ყოფილი „მარჩი") — 4; 11-13. „რიალი", „ლიჟიე", „მინარდი" — 3-3; 14. „ონიქსი" — 2; 15. „ა-ჟე-ესი" — 1 ქულა.

იტალიის ეტაპამდე რამოდენიმე დღით ადრე „ფერარის" მენეჯერმა, ჩეზარე ფიორიომ განაცხადა, რომ ნაიჯელ მენსელთან კონტრაქტი კიდევ ორი წლით გაგრძელდა, მომავალ წელს კი მასთან ერთად იასპარეზებს ალენ პროსტი. მის ადგილს „მაკლარენში", როგორც იცით, დაიკავებს გერჰარდ ბერგერი. „ბენეტონი" იწვევს ნელსონ პიკეს, მის ადგილს კი „ლოტუსში" დაიკავებს ალესანდრო ნანინი.

ჩემპიონატის მომდევნო, მე-13 ეტაპი, გაიმართება 24 სექტემბერს პორტუგალიაში, „ეშტორილას" ტრასაზე.

**დავით ჩუბინიძე.**

## ინფორმაცია

● **პრესტონი** (დიდი ბრიტანეთი). გორკელი დიმიტრი მაზუნოვი გამოეთიშა ბრძოლას აქ მიმდინარე მაგიდის ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირში (სერია „მასტერსი"). პირველ წრეში მან წააგო შვედ ერიკ ლინდთან — 15:21, 15:21, მერე კი დამარცხდა ფრანგ ჟან-ფილიპ გატიენთან — 21:18, 9:21, 11:21.

● **სეული.** წარუმატებელი იყო დიმიტრის უფროსი ძმის, ანდრეი მაზუნოვის გამოსვლა მაგიდის ჩოგბურთელთა ტურნირში — „სამარანჩის თასის" გათამაშებაში. წინასწარ შეხვედრებში იგი დამარცხდა ვუ ვენცზიასთან (ტაივანი) — 13:21, 11:21, საიტო კიოშისთან (იაპონია) — 18:21, 15:21 და იუ ნამ კიუსთან (სამხრეთ კორეა) — 17:21, 16:21.

# ფილმი გრეგ ლემონდზე

**დღეს** მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ პროფესიონალ ველოსიპედისტად ითვლება ამერიკელი გრეგ ლემონდი, რომელმაც თავისი ძალა და შესაძლებლობანი დაამტკიცა, „ტურ დე ფრანსის" წლევანდელ გათამაშებაში და მსოფლიო ჩემპიონატში (საფრანგეთი) გამარჯვებებით.

ამერიკელებმა გადაწყვიტეს სახელოვანი თანამემამულის წარმატებათა ჯეროვანი დაფასება. ამ მიზნით ისინი ქმნიან სრულმეტრაჟიან ფილმს ველოსიპედისტზე. „უორნერ ტელევიჟენმა" კინოლენტის შექმნის ყველა უფლება შეისყიდა. ფილმის პროდიუსერის ლორენს ლიტლის განცხადებით გადაღებებს, რომელშიც გამოყენებული იქნება დიდძალი დოკუმენტური მასალაც, დაიწყება 1990 წელს.

# ველოსპორტის ამბები

**ლუქსემბურგი.** დამთავრდა ევროპის ქვეყნების თანამეგობრობის ტრადიციული მრავალდღიანი ველორბოლა, რომლის ტრასა საფრანგეთის, ბელგიის, გფრ-ისა და ლუქსემბურგის ტერიტორიებზე გადიოდა. პირად ჩათვლაში გამარჯვება მოიპოვა 23 წლის ფრანგმა პროფესიონალმა პასკალ ლინომ. სხვათა შორის, ლიდერის მაისური მან მეოთხე ეტაპის შემდეგ ჩაიცვა და მერე აღარ გაუხდია. 1300 კილომეტრი ჩემპიონმა 37:02.13-ში დაფარა.

ბოლო მეცხრე ეტაპი კი ჩეხოსლოვაკიელმა ვლადიმირ კაზარეკმა მოიგო (188 კილომეტრზე 5:20,21 აჩვენა). კაზარეკი ამ რბოლაში ორ ეტაპზე იყო პირველი. საბჭოთა ველოსიპედისტებმა ამჯერად ვერაფერი საჭირო ვერ აჩვენეს: ვერც ერთ ეტაპზე ვერ მოხვდნენ პრიზიორთა შორის და ვერც გუნდურ ჩათვლაში გამოიჩინეს თავი (ოცეულის მიღმა დარჩნენ).

**რომი.** ქალაქ პესკარას ტრასა მასპინძლობდა პროფესიონალთა ველორბოლას ევროპის დიდ პრიზზე, რომელიც მოიგო საბჭოთა სპორტსმენებისგან დაკომპლექტებულმა გუნდმა „ალფა ლიუმმა". 24 კილომეტრზე ასპარეზობაში მან საუკეთესო დრო 31.39,13 აჩვენა. კიეველი ვლადიმერ პულნიკოვი კი 146 კმ ჯგუფურ რბოლაში მეოთხე იყო. გამარჯვებულ იტალიელთან, მსოფლიოს ექსჩემპიონ მაურიციო ფონდრიესტთან მან რამდენიმე სანტიმეტრი წააგო და აჩვენა იგივე დრო — 3:40,48.

ორი რბოლის ჯამში „ალფა ლიუმს" ყველაზე კარგი დრო აღმოაჩნდა. მან 7 წამით ჩამოიტოვა „ატალა კომპანიოლო" და 56 წამით — „მალვორი".

რედაქტორი
**თ. გაჩეჩილაძე.**


ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096,
თბილისი, ლენინის ქ. 14,
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო",

რედაქციის ტელეფონები:
წერილების განყოფილება — 93-97-55,
სამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53,
„მერანი" — 93-97-26, „მარჯვე" — 93-97-27.

ჩვენი ინდექსი 66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14, იბეჭდება ოფსეტური წესით სავაჟეთო კორპუსში: ხოშარაული, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 10493